

სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
19.09.2014 №166
თბილისი

სტუ-ს 2014 წლის 07 აგვისტოს №146 ბრძანების
ცვლილებისა და 2014 წლის 09 სექტემბრის
№157 ბრძანების ნაწილის ძალადაკარგულად
გამოცხადების შესახებ

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე, 62-ე და 63-ე მუხლების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ძალადაკარგულად იქნას ცნობილი სტუ-ს 2014 წლის 09 სექტემბრის №157 ბრძანების II პუნქტის 1-7 პუნქტები;
2. ნაწილობრივ შეიცვალოს სტუ-ს 2014 წლის 07 აგვისტოს №146 ბრძანების 1-7 პუნქტები და ისინი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.ა) სასპეციალიზაციო გამოცდები ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ჩატარდეს 2014 წლის 22 სექტემბერს სტუ-ს I კორპუსში, კოსტავას ქ. 72, პირველ სართულზე, კომპიუტერულ საგამოცდო ცენტრში, შემდეგი განრიგით:

9⁰⁰ –11⁰⁰ საათი

- სამართალი (I სესია)

11⁰⁰ –13⁰⁰ საათი

- სამართალი (II სესია)

13⁰⁰ –15⁰⁰ საათი

- სამართალი (III სესია)
- საერთაშორისო ურთიერთობები
- ევროპის პოლიტიკური სისტემა
- თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკა

15⁰⁰ –16³⁰ საათი

- მენეჯმენტი (I სესია)

16³⁰ –18⁰⁰ საათი

- მენეჯმენტი (II სესია)
- მენეჯმენტი (ინგლისური)

18⁰⁰ –19³⁰ საათი

- ეკონომიკა
- საბანკო საქმე

ბ) სასპეციალიზაციო გამოცდები ინფორმატიკისა და მართვის სისტემების, სამშენებლო, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტების სამაგისტრო პროგრამებზე ჩატარდეს 2014 წლის 23 სექტემბერს სტუ-ს I კორპუსში, კოსტავას ქ. 72, პირველ სართულზე, კომპიუტერულ საგამოცდო ცენტრში, შემდეგი განრიგით:

09⁰⁰ –11⁰⁰ საათი

- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი (I სესია)

11⁰⁰ –13⁰⁰ საათი

- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი (II სესია)
- სამშენებლო ფაკულტეტი

13⁰⁰ –15⁰⁰ საათი

- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი
- ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

გ) სასპეციალიზაციო გამოცდები სამთო-გეოლოგიურ, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტების და დიზაინის საერთაშორისო სკოლის სამაგისტრო პროგრამებზე ჩატარდეს 2014 წლის 22 სექტემბერს სტუ-ს VI კორპუსში, კოსტავას ქ. 77, შემდეგი განრიგით:

10⁰⁰ –13⁰⁰ საათი

- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი
- დიზაინის საერთაშორისო სკოლა

14⁰⁰ –17⁰⁰ საათი

- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი
- აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი.“

2. სასპეციალიზაციო გამოცდების შედეგები გამოცხადდეს იმავე დღეს და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;
3. საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს იმავე დღეს, გამოცდის ჩატარების ადგილზე, განხილვა – მეორე დღეს, 10.00 სათიდან 17.00 საათამდე;
4. სასპეციალიზაციო გამოცდების საბოლოო შედეგები გამოცხადდეს ამა წლის 24 სექტემბერს და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ფაკულტეტების დეკანებმა საერთო სამაგისტრო გამოცდის თითოეული ნაწილისა და სასპეციალიზაციო გამოცდის შედეგების საფუძველზე (საკონკურსო ქულა), მოამზადონ სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების საფაკულტეტო დოკუმენტი და შესაბამისი წარდგინება სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ და ჩააბარონ ისინი სწავლების დეპარტამენტს ამა წლის 25 სექტემბერს;
6. სტუ-ს ფაკულტეტების დეკანებმა უზრუნველყონ მაგისტრანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულების გაფორმება 2014 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით;
7. სწავლების დეპარტამენტმა 2014-2015 სასწავლო წლისთვის სტუ-ს სამაგისტრო პროგრამებზე ჩასარიცხად მოამზადოს რექტორის ერთიანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება) არა უგვიანეს ამა წლის 29 სექტემბრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს მისი წარდგენა გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.“

რექტორი

ა.ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

ლ.კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი

ი.ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ბ.მაისურაძე